№ 20/22
02 მაისი, 2022 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ოთარ შამუგიას

ბატონო ოთარ,

შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიის“ წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე გამავალი 220 კილოვოლტი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ხობი“-ს გაყვანასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 16 აპრილის №2-247 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სამინისტროში წარდგენილ Shp ფაილებში საპროექტო საჰაერო ეგხ-ს ბუფერი გადათვლილი იყო საყრდენებიდან, ხოლო შემდგომ აღნიშნული Shp ფაილები დაკორექტირდა და საჰაერო ეგხ-ს ბუფერის დაანგარიშება მოხდა განაპირა სადენებიდან. აღნიშნულმა გარემოებამ საპროექტო საჰაერო ეგხ-ს ბუფერის ფართობი - 1,176,721მ² გაზარდა 29,057მ²-ით და შეადგინა 1,205,777მ².

აღსანიშნავია, რომ ელექტროგადამცემი ხაზის სხვა ტექნიკური პარამეტრების ცვლილება არ იგეგმება.

იმის გათვალისწინებით, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა, წარმოგიდგენთ „წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე გამავალი 220 კვ-იანი საჰაერო ეგხ „ხობის“-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკრინინგის ანგარიშს“.

ამასთან, სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 28 აპრილის N4370/01 წერილში მოცემულ შენიშვნაზე პასუხი

დანართი: სკრინინგის ანგარიში 12 გვ. (ბეჭდური ვერსია და ელ. ვერსია) და Shp ფაილი

პატივისცემით,
გალაქტიონ ბუაძე

დირექტორი

GIG ENERGY
205256177
ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია
Georgian Investment Group Energy

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№11002
03.05.2022
1/ СР
02

კოტე აფხაზის ქ. №44 მეიდან პალასი, მე-2 სართული ს/კ 205256177	ტელ : (+995 32) 43 90 96 ფაქსი: (+995 32) 43 90 93 ელ-ფოსტა: info@gigenergy.ge